



თბილისი კაპიტალი

გლობალური ბაზრების ყოველკვირეული მიმოხილვა

18 მაისი 2026

რატი წიკლაური

უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური
ბაზრების კვლევა

გეგა კახიანი

უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური
ბაზრების კვლევა

გლობალური აქტივების მიმოხილვა


წყარო: ბლუმბერგი				
ჯამური უკუგება ლოკალურ ვალუტაში				
საფონდო ინდექსები	კვირა	თვე	წლის დასაწყისიდან	წლიური
SP500 (აშშ)	0.1%	5.5%	8.2%	24%
STOXX50 (ევროზონა)	-1.4%	-1.9%	0.6%	7%
FTSE100 (ბრიტანეთი)	-0.4%	-3.4%	2.7%	17%
TOPIX (იაპონია)	0.9%	2.5%	13.3%	41%
CSI300 (ჩინეთი)	-0.3%	3.7%	5.0%	25%

წყარო: ბლუმბერგი				
10-წლიანი სამთავრობო ობლიგაციების შემოსავლიანობა, %				
რეგიონი	მიმდინარე	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1 წლის წინ
აშშ	4.59	4.35	4.28	4.45
ბრიტანეთი	5.17	4.91	4.81	4.66
გერმანია	3.17	3.00	3.04	2.59
იაპონია	2.71	2.47	2.41	1.48
ჩინეთი	1.76	1.76	1.78	1.66

წყარო: ბლუმბერგი				
ნედლეულის ფასები				
ტიპი	მიმდინარე	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1 წლის წინ
ბრენტი ნავთობი, \$/ბრლ	109	101	95	66
ოქრო, \$/უნცია	4,540	4,715	4,791	3,230
ვერცხლი, \$/უნცია	76	80	79	32
სპილენძი, \$/მტ	13,503	13,515	13,189	9,539
ალუმინი, \$/მტ	3,628	3,563	3,659	2,451

აქტივთა კლასების პერფორმანსი


გასული კვირის 5 ყველაზე წარმატებული აქტივი



წყარო: ბლუმბერგი

გასული კვირის 5 ყველაზე წარუმატებული აქტივი

წყარო: ბლუმბერგი




კვირის პერფორმანსის მიმოხილვა

გასული კვირის მთავარი მახასიათებელი გეოპოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული ინფლაციური შიში იყო. ჰორმუზის სრუტის გარშემო არსებული გაურკვევლობის ფონზე, ნავთობის ფასი თითქმის 8%-ით გაიზარდა, რამაც გლობალური ენერგომომარაგების უფრო ხანგრძლივი შეფერხების შიში გააჩინა. ამასთან, მიწოდების ჭაჭვებთან დაკავშირებული ზოგადი წუხილების გამო, გაძვირდა ალუმინიც, პარალელურად კი აშშ დოლარი გამყარდა, რადგან ინვესტორებმა უსაფრთხო აქტივებს მიაშურეს და საპროცენტო განაკვეთების სამომავლო ტრაექტორია ხელახლა გადააფასეს. აქციების ბაზრის გაცილებით მდგრადი აღმოჩნდა — TOPIX-ისა და S&P 500-ის ინდექსებმა კვირა მცირედი ზრდითაც კი დაასრულეს, თუმცა ბაზრის უფრო ღრმა სტრესი გრძელვადიან სამთავრობო ობლიგაციებს დაეტყო, რომელთა მასიური გაყიდვებიც დაფიქსირდა იაპონიაში, აშშ-ში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში. ინვესტორების ქმედებებმა ობლიგაციების შემოსავლიანობის ზრდა გამოიწვია, რადგან ნავთობის გახანგრძლივებულმა სიძვირემ შესაძლოა ინფლაციაც მაღალ ნიშნულზე შეინარჩუნოს, გადაავადოს ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება და კიდევ უფრო გაამწვავოს ისედაც სენსიტიური ფისკალური პრობლემები.

SP500-ის სექტორების პერფორმანსი


გასული კვირის მზარდი სექტორები



წყარო: ბლუმბერგი

გასული კვირის კლებადი სექტორები

წყარო: ბლუმბერგი



კვირის პერფორმანსის მიმოხილვა

ენერგეტიკის სექტორმა მკვეთრი ზრდა აჩვენა ირანის კონფლიქტის გაგრძელებისა და ჰორმუზის სრუტის ირგვლივ არსებული გაურკვევლობის ფონზე, რამაც ნავთობის ფასებსა და ენერგოკომპანიების აქციებს მყარი საყრდენი შეუქმნა. ამავდროულად, აციკლურმა და ჯანდაცვის სექტორებმა ბაზარზე საშუალოზე უკეთესი შედეგი აჩვენეს, რადგან ინვესტორებმა არჩევანი შედარებით სტაბილურ, ე.წ. თავდაცვით სექტორებზე შეაჩერეს. ამის საპირისპიროდ, ყველაზე დიდი ვარდნა ციკლურმა სექტორმა განიცადა — საწვავის გაძვირებამ და ცხოვრების ხარჯების ზრდამ საოჯახო მეურნეობების დანახარჯებს რეალური საფრთხე შეუქმნა. უძრავი ქონებისა და კომუნალური მომსახურების სექტორებზე კი ნეგატიური გავლენა ობლიგაციების მაღალმა შემოსავლიანობამ მოახდინა; ასეთ მოცემულობაში ამ სექტორებისთვის დამახასიათებელი მაღალდივიდენდიანი პროფილი ინვესტორებისთვის მიმზიდველობას კარგავს, რასაც თან ერთვის დაფინანსების გაძვირებასთან დაკავშირებული საფიქრალიც. პოზიციები დათმო ნედლეულისა და მრეწველობის სექტორებმაც, რადგან ინვესტორები შიშობენ, რომ გახანგრძლივებულმა ენერგეტიკულმა შოკმა შესაძლოა ეკონომიკურ ზრდას დაარტყას და კომპანიების მოგების მარჟა შეამციროს.

მაკრო-გეოპოლიტიკური მიმოხილვა

აშშ-ის FED-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს


16 მაისიდან, ფედერალურ რეზერვს სათავეში კევინ უორში ჩაუდგა, რომელიც უფრო მცირე ზომის და ნაკლებად ინტერვენციონისტული ცენტრალური ბანკის მომხრეა. მისი ხედვით, FED-მა უფრო აგრესიულად უნდა შეამციროს არსებული 6.7-ტრილიონიანი აქტივები, მასშტაბური შესყიდვების ნაცვლად აქცენტი საპროცენტო განაკვეთების ტრადიციულ მექანიზმზე გადაიტანოს და შეამციროს ბაზრისთვის წინასწარი მინიშნებების (Guidance) მიცემის პრაქტიკა, რომელსაც იგი გადაჭარბებულად მიიჩნევს.

მისი პირველი სხდომა თავმჯდომარის ამპლუაში 16-17 ივნისს შედგება. ამ შეხვედრას ინვესტორები განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდებიან, რადგან ის საკმაოდ რთულ პერიოდს ემთხვევა: ინფლაცია კვლავ იზრდება ბაზარი კი ცდილობს გამოიცნოს, გამოიჩენს თუ არა უორში სიფრთხილეს განაკვეთების შემცირებისას. სხდომაზე ასევე წარმოდგენილი იქნება ეკონომიკური პროგნოზების დიაგრამა, რაც პირველი რეალური შესაძლებლობა იქნება ახალი ხელმძღვანელის პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ხედვების ამოსაცნობად.



აშშ-ის ინფლაციის ინდიკატორები აპრილში მნიშვნელოვნად გაუარესდა

აშშ-ში სამომხმარებლო ფასების ინდექსი კიდევ უფრო აჩქარდა, ხოლო მწარმოებელთა ფასების ინდექსმა (PPI) რეკორდული ყოველთვიური ნახტომი დააფიქსირა. ამ პროცესის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ირანის კონფლიქტთან დაკავშირებული ნავთობისა და ენერგეტიკული შოკი იყო, რამაც საწვავის, ტრანსპორტირებისა და სხვა საწარმოო დანახარჯების გაძვირება გამოიწვია. საოჯახო მეურნეობებისთვის ეს ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ხარჯების ზრდასა და მსყიდველობითი უნარის შესუსტებას მოასწავებს. FED-სთვის კი ეს მოცემულობა უახლოეს მომავალში საპროცენტო განაკვეთების შემცირების შანსებს საგრძნობლად ამცირებს, რადგან პოლიტიკის შემქმნელებს ბევრად უფრო მკაფიო მტკიცებულებები დასჭირდებათ იმისა, რომ ინფლაციის ტემპი მართლაც ნელდება.



კვირის ცენტრალური ამბავი

ინვესტორები ვადიან ობლიგაციებს მასიურად ყიდნიან


გასული კვირის განმავლობაში ბაზრებზე გრძელვადიანი სამთავრობო ობლიგაციების მასიური გაყიდვები დაფიქსირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ფასი დაეცა, ხოლო შემოსავლიანობა გაიზარდა. ეს ტენდენცია საკმაოდ ფართომასშტაბიანი აღმოჩნდა და შეეხო პრაქტიკულად ყველა დიდი რეგიონის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. ვინაიდან სამომავლო პერსპექტივები ბევრად უფრო ბუნდოვანი გახდა, ინვესტორები გრძელვადიანი ობლიგაციების ფლობის სანაცვლოდ ახლა უფრო მაღალ უკუგებას ითხოვენ.

მთავარ საფიქრალს ჰორმუზის სრუტის გარშემო არსებული მუდმივი გაურკვევლობა წარმოადგენს. ვინაიდან ეს მარშრუტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნავთობის გლობალური მიწოდებისთვის, ნებისმიერი ხანგრძლივი შეფერხება ნავთობზე მაღალ ფასებს განაპირობებს და ენერგომატარებლების, ტრანსპორტირებისა თუ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების გაძვირების შიშს აჩენს. ბაზრებზე სულ უფრო მეტად ღელავენ, რომ ეს კონფლიქტი ასე მარტივად და სწრაფად ვერ მოგვარდება.

ნავთობის გაძვირება, თავის მხრივ, ართულებს ინფლაციის მოთოკვას. ობლიგაციების ბაზრისთვის ეს იმიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ჭიუტმა ინფლაციამ შესაძლოა ცენტრალურ ბანკებს საპროცენტო განაკვეთების შემცირების გადადება, ან სულაც მონეტარული პოლიტიკის უფრო დიდი ხნით გამკაცრებული დატოვება აიძულოს. შედეგად, ინვესტორები ხელოვნურად ზრდიან გრძელვადიან შემოსავლიანობას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ისინი მოვლენებს ხელახლა აფასებენ და აკვირდებიან, ხომ არ მიეძანება მსოფლიო სუსტი ეკონომიკური ზრდისა და მაღალი ინფლაციის გარემოსკენ.



ამას ემატება პრობლემის მეორე შრეც: ბევრ მთავრობას ისედაც სერიოზული ბიუჯეტური დეფიციტი აქვს და დიდი მოცულობის ვალს იღებს. ასეთ დაძაბულ ბაზარზე კი ინვესტორებს უჭრებათ სურვილი, დაბალი უკუგების მქონე გრძელვადიანი ობლიგაციები შეიძინონ. საერთო ჯამში, ობლიგაციების მასიური გაყიდვა ერთ მკაფიო გზავნილს ასახავს: ბაზრები სერიოზულად შფოთავენ გახანგრძლივებული ომის, ჰორმუზის მოუგვარებელი კრიზისისა და იმ რისკის გამო, რომ ენერგეტიკული შოკი შესაძლოა ფართო გლობალურ ეკონომიკასაც გადაედოს.

30-წლიანი სამთავრობო ობლიგაციების შემოსავლიანობები, % (დეკ-2025 = 100)





აქციები ყურადღების ცენტრში

Cisco Systems-ის აქციების ფასი დაახლოებით 22%-ით გაიზარდა მას შემდეგ, რაც კომპანიამ ძლიერი კვარტალური შედეგები და გაუმჯობესებული პროგნოზი გამოაქვეყნა, ხოლო მენეჯმენტმა ხელოვნური ინტელექტის (AI) ინფრასტრუქტურის შეკვეთების მოლოდინი გაზარდა. AI-ზე ორიენტირებულმა ამ სიახლეებმა აქციების ფასი რეკორდულ მაქსიმუმამდე აიყვანა, რაც კომპანიისთვის ბოლო 20-ზე მეტი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ერთდღიანი მატებაა.



Palo Alto Networks-ისთვის გასული კვირა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა, რადგან კიბერუსაფრთხოების სექტორის მიმართ ინვესტორთა განწყობა მკვეთრად გაუმჯობესდა. კომპანიის აქციებმა კვირა დაახლოებით 16%-იანი მატებით დაასრულა და ტექნიკური ანალიზის თვალსაზრისით, ყიდვის ახალ ზონაში გადავიდა. აქციების ფასის ზრდას ბიძგი მისცა როგორც პოზიტიურმა მოლოდინებმა, ისე კომპანიის ახალი თაობის უსაფრთხოების მიმართულებით წლიური განმეორებადი შემოსავლის (ARR) 33%-იანმა ზრდამ.

Nvidia კვლავ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას ნახევარგამტარების ბაზარზე. კომპანიის აქციების ფასის მატება უკავშირდება გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აშშ-მ ჩინური კომპანიებისთვის მაღალტექნოლოგიური H200 ჩიპების მიყიდვის ნებართვა გასცა. გარდა ამისა, მარტის თვიდან მოყოლებული, Nvidia-ს აქციები უკვე 36%-ით არის გაზრდილი. ინვესტორების ყურადღება კვლავ მიჰყვება Blackwell-ისა და Rubin-ის არქიტექტურის გრაფიკულ პროცესორებსა და AI სერვერებზე მზარდ მოთხოვნაზე.



CrowdStrike-ის აქციები დაახლოებით 13%-ით გაიზარდა, რაც კიბერუსაფრთხოებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სექტორში დაფიქსირებულ საერთო აღმასვლას უკავშირდება. როგორც ლიდერი უსაფრთხოების, ქლაუდის დაცვისა და ID ავტორიზაციის უსაფრთხოების მიმართულებით, CrowdStrike-მა უდიდესი სარგებელი მიიღო პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე პოზიტიური განწყობების დაბრუნებით და იმის გადაფასებით, თუ რამდენად რეალურია საფრთხე, რომ AI მათ ტრადიციულად კონკურენტულ უპირატესობებს შეამცირებს.

კვირის კალენდარი

მოახლოებული შედეგები

დღე	ბაზრის გახსნამდე	ბაზრის დახურვის შემდეგ
ორშაბათი		
სამშაბათი	HOME DEPOT [HD]	
ოთხშაბათი	ANALOG SERVICES [ADI]	NVIDIA [NVDA] INTUIT [INTU]
ხუთშაბათი	WALMART [WMT] DEERE & COMPANY [DE]	
პარასკევი		

ეკონომიკური კალენდარი

ინდიკატორი	დღე	მოლოდინი	წინა
MBA Mortgage Applications	ოთხშაბათი		1.7%
<u>EU April Final - CPI</u>	ოთხშაბათი	3.0%	3.0%
<u>UK - CPI</u>	ოთხშაბათი	3.0%	3.0%
<u>S&P Global US Manufacturing PMI</u>	ხუთშაბათი	53.8	54.5
Initial Jobless Claims	ხუთშაბათი	210k	211k
U. of Mich. Sentiment	პარასკევი	48.2	48.2

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. დოკუმენტში მოცემული არცერთი დებულება არ განიმარტება როგორც ოფერტი ან მოწვევა ოფერტზე ნებისმიერი აქტივის ან/და ფასიანი ქაღალდის ყიდვასთან ან/და გაყიდვასთან დაკავშირებით და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულების გაფორმებისთვის ან ვალდებულებების აღებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან, ფლობასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და ფინანსურ, საგადასახადო, სამართლებრივ ან/და სხვა სახის შესაბამისობის შეფასებას (due diligence). დოკუმენტის თითოეული მიმღები უნდა აცნობიერებდეს, რომ წინამდებარე კვლევის გამოყენების შემთხვევაში თიბისი კაპიტალი არ არის პასუხისმგებელი კვლევით სარგებლობასთან დაკავშირებულ შედეგებზე და რეკომენდებულია, რომ თითოეულმა მიმღებმა დოკუმენტში გახსნილ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა და დეტალური შეფასება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ დოკუმენტის მიმღების პირადი შეხედულებითა და დისკრეციით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა მონაცემი ან/და ინფორმაცია წარმოადგენს მესამე მხარის წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას და თიბისი კაპიტალი არ იღებს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას მათ სისრულესთან, სისწორესთან და სიზუსტესთან დაკავშირებით. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ფინანსური მონაცემი, პროგნოზი თუ მოდელი ეფუძნება მესამე პირების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. თიბისი კაპიტალი არ იძლევა რაიმე სახის პირდაპირ ან ნაგულისხმევ გარანტიას მათ სიზუსტეზე, სისრულესა და გონივრულობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა იქნეს მიჩნეული საბოლოო ანალიზად ან რაიმე გადაწყვეტილების მიღების საფუძველად. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს თიბისი კაპიტალისგან დამოუკიდებლად და მისი გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ რაიმე სახის ვალდებულება, განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომზადარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერი სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტობრივი შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისგან, რომლებიც შეიძლება გამოდინარეობდეს ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამატებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულია ისეთ გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულებას. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განაცხადები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე, თუმცა არსებული საუკეთესო სტანდარტების დაცვით, თიბისი კაპიტალს ჩამოყალიბებული აქვს სათანადო პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფენ მომსახურების შესრულების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. მოცემული დოკუმენტი არის მკაცრად კონფიდენციალური. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველაზე პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ რომელიმე ვალდებულებიდან გამომდინარე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე სახით გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე რაიმე ქმედების განხორციელებას ან/და უმოქმედობას.



თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge